1994 ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი
თემა: საქართველოს ორნავიანი ეკლესიები

პროფესიული საქმიანობა:

2004 – დღემდე ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკულტეტის არქიტექტურის რესტავრაციის კოორდინატორი, ას. პროფესორი

2005	ასოციაცია "საზოგადოება და კულტურული მემკვიდრეობა", დამფუძნებელი
2004-დღემდე	საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი
1973-2004	საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
1999	ღია საზოგადოება - საქართველო კულტურული მემკვიდრეობის კომისია ნამდვილი წევრი
1997	ICOMOS ARSAH საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი ნამდვილი წევრი
1995	ICOMOS International ნამდვილი წევრი
1984 – დღემდე	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (ამჟამად გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლდა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი)
1978 - დღემდე	საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მთავარი სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, ნამდვილი წევრი
2006 – დღემდე	გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლდა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი

ენები:

ქართული, რუსული სრულყოფილად, ფრანგული – კითხვა, თარგმნა ლექსიკონით

პროფესიული მიღწევები:

1993	მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად ნომინაციის მომზადება
1994-1995	ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად ნომინაციის მომზადება

1994-1996	მონაწილეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ნუსხის შედგენაში
1996	ზემო სვანეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად ნომინაციის მომზადება
1997-1999	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი კვლევისათვის: სამხრეთ საქართველოს ხუროთმოძღვრება
1997	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს მიერ დაფინანსებულ პროექტში: სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი – ჯავახეთი
1998	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს მიერ დაფინანსებულ პროექტში: სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი – სამცხე
1999	Getty Grant Programme მიერ დაფინანსებულ პროექტში: ჩაჟაშის კონსერვაციის მოსამზადებელი სამუშაოები
1999	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში: იკორთის მონასტრის რესტავრაცია
2000	ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების რეგიონების არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების ანოტირებული ნუსხის შედგენა
2000-2001	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კვლევა ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის კორიდორში
2003	UNESKO -ს პროექტი, თბილისის ძეგლთა ინვენტარიზაცია
2002-2003	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კვლევა ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის კორიდორში
2004	ქალაქ ბათუმის ხუროთმოძღვრული ძეგლების ინვენტარიზაცია
2004-2005	საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, ვერეს ბაზილიკა, სახელოვნებადმცოდნეო კვლევა
2005	ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების რეგიონების არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების ანოტირებული ნუსხის შედგენა, დამატებითი მასალა
2005	UNESKO -სთვის რაპორტის მომზადება მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების (ბაგრატი, გელათი) მდგომარეობის თაობაზე

2005	ტაძრისის წმ. გიორგის ეკლესია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, B.P-ის დაფინანსებით
2004-2005	"საქართველოს არქიტექტურული მემკვიდრეობა, დაცვის ტრადიციები და მეთოდები", სახელმძღვანელო, ელექტრონული ვერსია, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით
2005	თბილისის რეაბილიტაციის პროგრამა, თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა-ფიქსაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
2005	საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, თხინვალას ეკლესიის სახელოვნებადმცოდნეო კვლევა
2006	სოფელ გლდანის გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
2006	ქ. ქუთაისის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერი, ლოტი №3
2006	"ხერთვისი-ვარძია-ოლოდას" ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და დამცავი ზონების დადგენა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2007	კოტე მარჯანიშვილის და ნიკო ჭავჭავაძის სახლები ყვარელში. (თანაავტორობით), დამფინანსებელი ბანკი « რესპუბლიკა »
2007	ექსპედიცია თუშეთში, დართლოს დაფარვითი ინვენტარიზაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2007	ფოთოლეთის ეკლესია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2007	ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების შესწავლის მიზნით. თურქეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურისა სამინისტროების ერთობლივი პროექტი
2007	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოსმანური ძეგლების შესწავლა, დოკუმენტაციის მომზადება.

	თურქეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების ერთობლივი პროექტი
2008	ისტორიული თორი, დაფარვითი ინვენტარიზაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა სპორტის სამინისტროს ტენდერი
2008	ნაბახტევის ხუროთმოძღვრება, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2008	ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია, სახელოვნებადმცოდნეო კვლევა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2009-2011	« არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში », განათლების სამინისტროს რუსთაველის ფონდში გამარჯვებული პროექტი
2009	მუზეუმ-ნაკრძალების ბუკლეტების ტექსტების მომზადება: (დიდი ლიახვი, გონიო, უფლისციხე, ვარძია, კლდეკარი, ნიკო ფიროსმანი). კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაკვეთით.
2010	ხობის მონასტრის სამრეკლო, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ტენდერი
2010	გამოსაცემად გადაცემულია: ზველის (ძველი) ორნავიანი ეკლესია და ღართის ეკლესია, საპატრიარქოს კრებულისთვის "სამცხე-ჯავახეთის ეპარქია"
2010	გამოსაცემად გადაცემულია ანოტაციები ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე (17)
2010	მომზადდა ნომინაცია UNESCO-ს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების ნუსხისთვის – სვანეთი-ჩაუაში
2010	დასრულდა მუშაობა წლიურ თემაზე "გვიანფეოდალური ხანის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების თავისებურება თხინვალას ეკლესიის მაგალითზე"
2010	რუსთაველის ფონდის პროექტის ფარგლებში მონაწილეობა ექსპედიციებში: სამცხე-ჯავახეთში (ხვილიშა, ფიის, აგარა-ყიზილდერესის, ხოსპიოს, ზედა ვარძიის, ალანძიის ეკლესიები, ხერთვისის ციხე, ვარძიის არქიტექტურული კომპლექსი, ზარზმის არქქიტექტურული კომპლექსი), კახეთი – თელავის და ახმეტის რაიონები (კურტანაძეულების ხევის წმ.მარინეს და გუმბათიანი ეკლესიები, ერვლაანთ საყდარი, კვეტერა, იყალთოს არქიტექტურული კომპლექსი)

2010	რესტავრირებულ ძეგლების მონიტორინგის ფარგლებში მონაწილეობა ექსპედიციებში: კახეთში – გურჯაანის, თელავის და ახმეთის რაიონები (ვაჩნაძიანის ამიდასტური, რუისპირის ყველაწმინდა, ე.წ. "სკითების" ორი არქიტექტურული კომპლექსი, ახალი შუამთა, ძველი შუამთა, ალავერდი,); იმერეთში – ჭიათურის და ზესტაფონის რაიონები (მღვიმევის, კაცხის, ნავარძიების, სავანის ეკლესიები)
2011	ქალაქ დუშეთის დაფარვითი ინვენტარიზაცია
2011	სოფელ ღების ციხე-სახლი, სახელოვნებადმცოდნეო კვლევა
2012	ზეგარდის ეკლესია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
2012	კვარშის ეკლესია, სახელონებათმცოდნეო კვლევა
2013	ვანის ქვაბების ეკლესია, სახელოვნებადმცოდნეო კვლევა
2013	დაბა ხაიშისა და მიმდბარე ტერიტორიების არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაცია
2013	საორბისის ეკლესია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
2013	ეკის მაცხოვრის ჯვრის ეკლესია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

კონფერენციები, სიმპოზიუმები

1977	ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშირისო სიმპოზიული, თბილისი
1983	ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშირისო სიმპოზიული, თბილისი
1997	საერთაშორისო სემინარი – ხალხური არქიტექტურის მნიშვნელობა და დაცვა, თბილისი
1997	ICOMOS ARSAH საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის კონფერენცია, რომი
2002	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რისკისთვის მზადყოფნა და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია, რეგიონალური ვორქშოფი, თბილისი
2012	საერთაშორისო სემინარი "ტაო-კლარჯეთი"-ის ფარგლებში ოშკის ეკლესიასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა, ბათუმი

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1991 -1999	ხელოვნების ინსტიტუტი, კურსი: ზოგადი ხელოვნების ისტორია
1996 -1999	თანამედროვე ხელოვნების აკადემია. კურსი: ზოგადი ხელოვნების ისტორია
1997 -2004	თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კურსი: ზოგადი ხელოვნების ისტორია
2004-დღემდე	ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია კურსი: შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება (სემინარი), გვიანფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის ისტორია; რესტავრაციის საფუძვლები, დოკუმენტაციის შედგენა, შესავალი რესტავრაციაში

ნაბეჭდი ნაშრომები:

1. წმ. ნიკოლოზის ეკლესია თბილისის ნარიყალას ციხის ტერიტორიაზე, (დ. თუმანიშვილის თანაავტორობით) ძეგლის მეგობარი, 1975, № 38, გვ. 10-13
2. ირინე ელიზბარაშვილი, რუისპირის ყველაწმინდის ეკლესია, მაცნე, ისტორიის სერია, 1981, №1, გვ. 25-79
3. საქართველოს ორნავიან ეკლესიათა შეფასებისათვის, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 1983, (რუსულ და ინგლისურ ენებზე)
4. ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, 1984, №67, გვ. 6-11
5. ქილდის წმ. გიორგის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, 1986, №1, გვ. .28-31
6. ნეკრესი, ბუკლეტი, თბილისი, 1986
7. ორნავიანი ეკლესიები საქართველოში, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბილისი, 1992

8. დანკალის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, 1993, №1, გვ. 17-21
9. წითელი საყდარი ტაბაწყურში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველო, წელიწდეული, 1996, №1, გვ. 30-40
10. სვანეთის ხალხური ხუროთმოძღვრება, მასალები საერთაშორისო სემინარის - ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელობა და დაცვის პრობლემები, თბილისი, 1997, გვ. 79-82., ქართულ და ინგლისურ ენებზე.
11. ქართული ხუროთმოძღვრება, Vostok Spezial, 1, Kohln, 1997, გვ. 21-25 (გერმანულ ენაზე)
12. ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, (დ.ბერძენიშვილის, ნ.ვაჩეიშვილის, ც.ჩაჩხუნაშვილის მონაწილეობით). თბ. 2000
13. ოთხი კათედრალი, თბილისი, 2000
14. ორნავიანი ეკლესიების ლიტურგიკულ-ფუნქციური დატვირთვის შესახებ, "აკადემია" №2, 2002, გვ. 66-74
15. იკორთის მთავარანგელოზის ეკლესია, (ახალი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მონაცემები), "საქართველოს სიძველენი", № 2, 2002, გვ. 7-24
16. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 2003
17. ქართული ხუროთმოძღვრება, Vostok Spezial, Kohln, 2005 (გერმანულ ენაზე)
18. ტაძრისის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაზე ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგები, "საქართველოს სიძველენი", (მ. ბოჭოიძის, ლ. ახალაიას მონაწილეობით). №7-8, თბ. 2005
19. Православная энциклопедия, общая статья о грузинской христианской архитектуре, М. 2008
20. Православная энциклопедия, статьи - Икорта. Икалто, М. 2009
21. **კოტე მარჯანიშვილისა და ნიკოლოზ ჭავჭავაძის სახლები ყვარელში,** (ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა) "საქართველოს სიძველენი" №13 თბ. 2010 (ხ. ჭურღულიას თანაავტორობით)
22. რესტავრაციის ისტორია საქართველოში (ისტორიოგრაფია, ტრადიცია, გამოცდილების ანალიზი), თბ. 2012, (მ.სურამელაშვილის, ც.ჩაჩხუნაშვილის, ხ.ჭურღულია თანაავტორობით)
23. ვერეს ბაზილიკა – ისტორიული მიმოხილვა, საქართველოს სიძველენი №15, თბ., 2012, გვ.107-131

CV

სახელი,გვარი	ზურაბ გაჩეჩილაძე
დაბადების თარიღი:	1940 წლის 19 მაისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ეროვნება:	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული
მისამართი:	ქ. თბილისი ნუცუბიძის ქუჩა №48 ბინა 17
მობილური:	899 25 13 45
E-mail:	ivertmsheni1@mail.ru
განათლება:	უმაღლესი
1962-67 წწ.	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპეციალობა:	მშენებელ-რესტავრატორი

ენები:
ქართული-მშობლიური
რუსული-სრულყოფილად

პროფესიული გამოცდილება:

1978-წლიდან	მუშაობს ძეგლთა დაცვის სისტემაში.

1999-2002წწ.	შ.პ.ს. ,,ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი''-ს მთავარი ინჟინერი.
2002-2007წწ.	შ.პ.ს. ,,ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრი''-ს დირექტორი.
2007 წლიდან	ს.ს."სამშენებლო კომპანია ,,ივერთმშენში'' მშენებელ-რესტავრატორი.

სამუშაო გამოცდილება:

მის მიერ შესრულებულია აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები ისტორიისა და კულტურის შემდეგ ძეგლებზე: ვარძია, ზემო ვარძია, საფარა, ჭულე, ზარზმა, ბაგრატი, გელათი, ბოლნისის სიონი, წუღრუღაშენი, ფიტარეთი, ფოკა, ალავერი, ჯვარი,გ.ჩიტაიას სახელობის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის ,,სიღნაღური სახლი'', იუსტიციის სამინისტროს შენობის ფასადი, სამების ტაძრის ფასადის ნაწილი და სხვ.

ს.ს. ,,სამშენებლო კომპანია ,,ივერთმშენის'' გენერალური დირექტორი
ედიშერ ჯანჯულია

07.06.2011.

C V

სახელი	ლალი ახალაია
დაბადების თარიღი	6 მარტი, 1946 წ. სოხუმი.
მისამართი	თბილისი, თამარაშვილის ქ. 21, 43; ტელ. 39-76-97, მობ. 899 26 86 55
ეროვნება	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა	დაუოჯახებელი

განათლება

1966-1971 წწ.	ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, სპეციალობა - არქეოლოგია.

შრომითი გამოცდილება

1998 წლიდან–დღემდე	ICOMOS _ (INTERNATIONAL COUNCIL ON MONUMENTS AND SITES) საქართველოს წევრი
1986-2007	საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება, არქეოლოგი. უფლისციხის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ექსპედიცია, ძვ. წ. III-II სს. და ახ. წ. IV-VI სს. ნამოსახლარების საველე კვლევის ხელმძღვანელი.
2000–2004 წწ.	ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი არქეოლოგიაში, შეთავსებით.
1978-1986 წწ.	კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, არქეოლოგიის განყოფილება, მეცნიერთანამშრომელი. სარესტავრაციო-საკონსერვაციო ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა..
1971-1977 წწ.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, მეცნიერთანამშრომელი. ძვ.წ. VI-Vსს. სამოსახლოს საველე–არქეოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი.

პროფესიული აქტივობა

2008 წ	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი – თბილისი–სენაკი–ლესელიძის საერთაშორისო სამანქანო გზის, იგოეთისა და სვენეთის მონაკვეთებზე გადაუდებელი არქეოლოგიური გათხრების პროექტი, არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა – ინდივიდუალურმა საწარმო – "გიორგი გვინჩიძე–არქეოლოგიური კვლევა"; პროექტის მონაწილე.
2006 წ.	აპრილი–ივნისი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდიის პროექტი – უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმის ექსპოზიციის მოწყობა
2005-2002 წწ.	საქართველოს ICOMOS-ის ეროვნული კავშირის ჯგუფი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კორიდორში არსებული კულტურის ძეგლების აღრიცხვა, ფიქსაცია, საველე კვლევა და სრული დოკუმენტაციის შედგენა; ტაძრისის სამონასტრო კომპლექსის რასტავრაცია – ექსპერტი-არქეოლოგი.
2001 წ.	USID-ის დაფინანსებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის წინასწარ შემსწავლელი მულტიდისციპლინარული ჯგუფი, ექსპერტი კულტურული მემკვიდრეობის დარგში.
2001 წ.	მსოფლიო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პროგრამა - ძვ. წ. IV-I სს. ნაქალაქარ-უფლისციხის კლდოვანი კომპლექსების გამაგრებითი სამუშაოების არქეოლოგიური მონიტორინგი.
2000-2001 წწ.	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პროგრამა - უფლისციხის გამაგრება–გდარჩენის კონცეფციის თანაავტორი.
1999 წ.	Getty Grant Programme-ს დაფინანსებით საქართველოს ICOMOS-ის ეროვნული კავშირის მიერ განხორციელებული კომპლექსური ექსპედიცია – მაღალმთიანი სოფლის ჩაჟაშის (ზემო სვანეთი) წინასაკონსერვაციო საველე-კვლევითი სამუშაოები, ექსპერტი – აექეოლოგი.
1998-1999 წწ.	ღია საზოგადოება საქართველოს დაფინანსება, წალკა–თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესრულებული თრიალეთისა და ჯავახეთის ციკლოპური ნამოსახლარების არქიტექტურულ-არქეოლოგიური კვლევა-ფიქსაციის მონაწილე.

ენები ქართული - მშობლიური, რუსული - სრულყოფილად.

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი: გიორგი კუნჭულია

დაბადების თარიღი: 31.07.1953

დაბადების ადგილი: ლანჩხუთი, საქართველო

ოჯახური მდგომარეობა: ცოლშვილიანი

მისამართი: თბილისი,მუხიანის დასახლება მე–3 მ/რ,კორპ. 10 ბ–65. ტელ: 2–64–75–91

მობ: +995 5 99 29 29 61

განათლება: 1971–1976 თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი.

დღევანდელი თანამდებობა: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი, სტიქიური პროცესების და საინჟინრო–გეოლოგიის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი (ინჟინერ–გეოლოგი).

სამუშაო გამოცდილება:

2011–2013 – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიური საშიშროებების მართვის დეპარტამენტი, სტიქიური პროცესების, საინჟინრო–გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (ინჟინერ–გეოლოგი).

2008–2011 – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიური საშიშროებების და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი, სტიქიური პროცესების, საინჟინრო–გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს ინჟინერ–გეოლოგი.

2006–2008 – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საინჟინრო–გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევების სამმართველოს ინჟინერ–გეოლოგი.

1998–2006 – გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, საინჟინრო–გეოლოგიური და გეოეკოლოგიური კვლევების ცენტრი „სტიქია“ – შიდა ქართლის საინჟინრო–გეოლოგიური პარტიის უფროსი.

1981–1997 – გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური ექსპედიცია, შიდა ქართლის გეოლოგიური პარტიის ჯგუფის უფროსი.

1978–1980 – გეოლოგიის სამმართველო, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური ექსპედიცია, ქარელის საინჟინრო–გეოლოგიური პარტია, გეოლოგი.

1976–1977 – საქართველოს გეოლოგიის სამმართველო, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური ექსპედიცია, ქარელის საინჟინრო–გეოლოგიური პარტია – ტექნიკოს გეოლოგი.

გეოლოგიური ანგარიშები:

- 2012 - დუშეთში 220/110/10 კვ. ელ. ქვესადგურის მშენებლობისათვის შერჩეული მიწის ნაკვეთის (3.0 ჰა) საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების და ტოპო-გეოდეზიური გადაღების (1:500 მასშტაბის) ანგარიში;
- 2012 – ქ. ხაშურის საპროექტო მინის ქარხნის ტერიტორიაზე სადრენაჟო ქსელის მოწყობისათვის საჭირო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები;
- 2012 – ქ. თბილისში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მრავალფუნქციონალური კომპლექსის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური), ჰიდროლოგიური და გრუნტის (ნიადაგის) და წყლის დაბინძურების შესაფასებლად ჩატარებული კვლევების ანგარიში (ტექნიკური ანგარიში), 2012წ;
- 2012 - ქ. თბილისში სადემონსტრაციო 2 ჰა ფართობზე ვაზის გასაშენებლად, ტერასების მოწყობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2012 - ქ. თბილისში, ვახუშტის ხიდთან, სადემონსტრაციო 0.8 ჰა ფართობზე ვაზის გასაშენებლად, ტერასების მოწყობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2012 - ახმეტის რაიონის სოფ. ოჟოიში პეტრე ნოვაცკის სახლის მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2012 - ხაშურის რაიონის სოფ. გომში `სოფლის განვითარების ცენტრის~ მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2012 - გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალაში `სოფლის განვითარების ცენტრის~ მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);

- 2012 - გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანში `სოფლის განვითარების ცენტრის~ მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2011 - დაბა გუდაურში გალინა ალიბეგაშვილის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2011 - ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #4-ში სამედიცინო ცენტრის მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2010 - ქ. თბილისში სამღერეთის ქუჩა #3-ში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობის პროექტი (საინჟინრო--გეოლოგიური დასკვნა);
- 2010 – თბილისი-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალური ხაზის მოდერნიზაციის პირველადი პროექტირების (I ეტაპი) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში (თბილისი–ხაშურის მონაკვეთი), თბილისი;
- 2009 – ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის "ზინდისი"-ს მეწყრულ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში, თბილისი;
- 2009 - ქ. ბოლნისის სასულიერო სემინარიის რეაბილიტაციის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2009 - ქ. ზესტაფონის სტადიონის ტერიტორიაზე განათების ანძების მშენებლობის პროექტი (საინჟინრო–გეოლოგიური დასკვნა);
- 2002–2003 – „ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის" ნავთობსადენის მაგისტრალის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევები;
- 1997 – „ბაქო–სუფსის" ნავთობსადენის მაგისტრალის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის მონაწილე;
- 1976–1977 – მდ. მტკვრის ხეობაში საინჟინრო–გეოლოგიური აგეგმვა 1:25 000 მასშტაბში სოფ. აწყურიდან სახელმწიფო საზღვრამდე" – თანაავტორი;
- 1977–1980 – მდ. მტკვრის ხეობაში საინჟინრო–გეოლოგიური აგეგმვა 1:25 000 მასშტაბში ქ. თბილისიდან წითელ ხიდამდე – თანაავტორი;
- 1980 – 1984 – „ბორჯომის რაიონის საინჟინრო–გეოლოგიური აგეგმვა 1:25 000 მასშტაბში" – თანაავტორი;
- 1983–1986 – „არგვეთის მეურნეობის ტერიტორიაზე დეტალური – 1:2000 მასშტაბის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა – ავტორი;
- 1985–1988 – „მდ. მტკვრის ხეობაში სოფ. ქვიშხეთიდან მდ. ლიახვამდე საინჟინრო–გეოლოგიური აგეგმვა 1:25 000 მასშტაბში" – თანაავტორი;
- 1987 – 1992 – „შიდა ქართლის რეგიონში საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე დაკვირვების და პროგნოზირების საინჟინრო–გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაცია" – ავტორი.

საინფორმაციო ბიულეტენები:

2014წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2013 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2014 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2013წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2012 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2013 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2011წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2010 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2011 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2010წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2009 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2010 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2009წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2008 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2009 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2008წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2007 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2008 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2007წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2006 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2007 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2006წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2005 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2006 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

2005წ – „საქართველოში სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობა, 2004 წელს გააქტიურების შედეგი და საშიშროების რისკი 2005 წლისათვის (შიდა ქართლის რეგიონი) – ავტორი.

ენები: ქართული (მშობლიური), რუსული (სასაუბრო).

CV

სახელი, გვარი: ზაურ კვარაცხელია

დაბადების თარიღი: 22.08.1950

დაბადების ადგილი: წალენჯიხა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

მისამართი: ქ. თბილისი დ/დიღომი ი. პეტრიწის №6, ბ. 168

ტელეფონი; 2533- 995, 591-40-41-90

განათლება: უმაღლესი, 1968-1973წწ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესია: გეომორფოლოგი

საკვალიფიკაციო კურსები: 1982-1983წწ სსრკ გეოლოგიის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. თემა: "საინჟინრო გეოლოგიური კვლევა".

სამუშაო გამოცდილება: 2009-დღემდე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი

2013 წ–დან ამავე დეპარტამენტის სტიქიური პროცესების და საინჟინრო-გეოლოგიის სამმართველოს უფროსი

2011–2012წწ ამავე დეპარტამენტში მთავარი გეოლოგი

2009–2012წწ ამავე დეპარტამენტში - გეოლოგი

2006–2009წწ შ.პ.ს. "ბაზისი 2006" სამშენებლო სამუშაოების მენეჯერი

2004–2005წწ შ.პ.ს. "ვიტოს"-ს დიდუბის ფილიალის დირექტორი

1999–2004წწ შ.პ.ს. "ამბაზი 99"-ის დირექტორი

1991–1999წწ შ.პ.ს. "ვიტოს"-ს დირექტორი

1973–1991წწ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის სპეციალიზირებული საინჟინრო-გეოლოგიური პარტია

1982–1991წწ ამავე პარტიაში ჯგუფის უფროსი

1980–1982წწ ამავე პარტიაში უფროსი გეოლოგი

1974–1980წწ ამავე პარტიაში გეოლოგი

1973 წელი ამავე პარტიაში უფროსი ტექნიკ-გეოლოგი

გეოლოგიური ანგარიშები:

2009-წლიდან ყოველწლიური მონიტორინგი სამეგრელო ზემო–სვანეთის რეგიონში და საინფორმაციო ბიულეტენების თანაავტორი

1987–1991წწ ცაგერის რაიონის საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის ანგარიში – თანაავტორი

1984–1987წწ ჩხოროწყუს რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში – თანაავტორი

19981–1984წწ გალის რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში – თანაავტორი

1978–1981წწ გულრიფშის რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში- თანაავტორი

1975–1978წწ ხულოს, შუახევის, ქედის და ხელვაჩაურის რაიონების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის კვლევის ანგარიში- თანაავტორი

1973–1975წწ ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის და ხარაგაულის რაიონების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში – თანაავტორი

ენები: ქართული- "მშობლიური"

რუსული- "სასაუბრო"

კომპიუტერის ფლობა: Word

25.04.2014 წ.

რეზიუმე

მურმან ძაძამია

1. **დაბადების თარიღი:** 01.01.1953 წ .
2. **ეროვნება:** ქართველი
3. **ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული
4. **განათლება:**

თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გეოგრაფია გეოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობით კარტოგრაფი	
თარიღი:	1972-1978 წ.წ.
აკადემიური ხარისხი	მაგისტრი

კვალიფიკაცია:

თარიღი	აღწერა
	საქართველოს ტერიტორიაზე სტიქიურ–ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესწავლა. მდინარეთა კალაპოტური პროცესების შესწავლა მდინარეთა ღვარცოფული მოვლენების შესწავლა ზვავსაშიში კერების შესწავლა თოვლის საფარის შესწავლა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველოს მდინარეთა აუზებში გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის შედგენის მიზნით.
	გლაციოლოგიური პროცესების შესწავლა დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონის 16 მყინვარზე (იუნესკოს პროგრამით)

5. ენის ფლობა **(**შეფასება 1-დან 5-მდე**):**

ენა	კითხვა	საუბარი	წერა
ქართული - მშობლიური	5	5	5
რუსული	5	5	5

6. მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში**:**

- შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდ. ჭოროხის დაცვა, სტრატეგიულ – ტექნიკური დახმარების პროგრამის შედგენა საქართველოს მყინვარებზე (USAID პროგრამა).
- თანამედროვე ჰიდროლოგიური ხელსაწყო–დანადგარების გამოყენება კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ,,ევროპის და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილებების

რისკის შესამცირებელი ღონისძიებათა პროექტის, (გრანტი №TF054294) განხორციელებისათვის საკონსულტაციო სამუშაოები;

- მდინარისა და სანაპიროს დაცვა აჭარაში (მდინარე ჭოროხის აუზი), მონაცემთა ბაზის შექმნა;
- საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის 1998 წ. 14 ნოემბრის შეხვედრის ოქმის საფუძველზე მდინარე ჭოროხზე დებეტის დონისა და სედიმენტის გაზომვითი სამუშაოები;
- წყალდიდობისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავება მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში (პროექტის ნომერი 00076540)

7. კომპიუტერული პროგრამების ცონდა:

Windows; Ms. Word; Ms. Excel.

8. ამჟამინდელი სამუშაო ადგილი:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს , გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციის უფროსი

9. **სამუშაო გამოცდილება:** 37 წელი

10. სამუშაო გამოცდილება:

თარიღი	ორგანიზაცია	თანამდებობა	სამუშაოს აღწერილობა
2013 01.01-დღემდე	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო	ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციის უფროსი	
2012	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო	ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების ექსპედიციური დაკვირვებისა და და შესწავლის მიმართულების უფროსი სპეციალისტი	

1982-2012	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის საველე ექსპედიციური პარტიის უფროსი	
1976-1981	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი	ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის ჰიდროგრაფიული პარტიის ინჟინერი	

11. **საკონტაქტო ინფორმაცია:** მურმანი ძაძამია

მისამართი: თბილისი ზღვისუბანი IV მ/რ, V კვ, ბინა 90

ტელ: 2 64 50 45 595 77 50 45

E-mail: murmani.dzadzamia@gmail.com

არქიტექტორ-რესტავრატორი
ასმათ ჭიკაიძე

არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია

სქურის ფერისცვალების დარბაზული ეკლესია, ჩრდილოეთ სამხრეთ მინაშენით და კარიბჭებით (დასავლეთის და სამხრეთის) კარგად არის ჩაწერილი არსებულ გარემოში. მიუხედავად ნგრევისა ძეგლის ლაღი, მაშტაბური და ცოტა მკაცრი არქიტექტურა მაინც შთამბეჭდავია. ეკლესიის ინტერიერი საკმაოდ მოცულობითია, გრძივ კედლებს ანაწევრებს მძლავრი წყვილი პილიასტრი, აღმოსავლეთით ამთავრებს ღრმა აფსიდი წრიული მაღალი ნიშებით.

ეკლესიის კამარა ეყრდნობოდა კედლის პილასტრებზე გადაყვანილ საბჯენ თაღებს. ამჟამად, სამხრეთი კედელი გადახრილია, რამაც გამოიწვია გარედან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მძლავრი, უხეში კონტრფორსის მიშენება. კედლის ავარიულმა მდგომარეობამ შეარყია საბჯენი თაღების მდგრადობა და დროთა განმავლობში იგი გახდა ნგრევის ერთ-ერთი მიზეზი.

მიუხედავად ნგრევისა, არსებული კედლები და ჩამოყრილი წყობის ქვები წარმოდგენას გვიქმნიან ძეგლის პირვანდელ სახეზე. ძეგლი კარგად შეუსწავლია არქიტექტორ-რესტავრატორ ჯავარ სალიას და მის მიერ შესრულებულია ძეგლის სრული აღდგენის პროექტი.

2010 წლის ფოტომასალიდან ჩანს, რომ ეკლესიამ განიცადა სახეცვლა. მაგალითად: სამხრეთ მინაშენის აფსიდი ამჟამად ჩახერგილია, მორღვეულია თაღი და აფსიდის ცენტრალური და სამხრეთი კედელი. აქედან გამომდინარე, ძეგლი მოითხოვს კორექტირებას. საჭიროა დამატებითი აზომვა-შესწავლა.

ამ ეტაპზე რესტავრატორს ვერ დავეთანხმებით დასავლეთი კარიბჭის აღდგენის საკითხში, ვინაიდან მისი 90% განადგურებულია. ასევე საეჭვოა პროექტში წარმოდგენილი, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში სარკმლების არსებობა და რაოდენობაც. დღეს, ძეგლის გაწმენდის დროს ამოსული საპირე წყობის ქვები, ერთად არის თავმოყრილი, რაც ხელს გვიშლის მასზე დაყრდნობით მოხდეს პროექტის კორექტირება. ძეგლის აღდგენის პროცესში, არსებული მასალის შესწავლისას, შესაძლებელია გაირკვეს დასავლეთი კარიბჭის აღდგენის საკითხი.

უნდა დაზუსტდეს 2006 წლიდან (პროექტის ბოლო კორექტირება) რა ცვლილებები განიცადა ძეგლმა. ვინაიდან მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ და

დასავლეთ სარკმლების კვალი თითქმის არ იკითხება კედლებზე, ვვარაუდობთ, რომ არ განადგურებულა სარკმლების ქვები და საწარმოო პროცესში აღმოჩნდება მათი კვალი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვრიცხოთ ჩვენს მიერ გამოთქმული ეჭვი.

დასავლეთ სარკმლების პარალელურად ყველა საეჭვო დეტალს გავნსაზღვრავთ, შევისწავლით და დავხვეწავთ არსებულ პროექტს. შესწავლის პროცესში დაზუსტდება რა ცვლილებები განიცადა ძეგლმა ამ პერიოდში.

ეკლესია, თავისი არქიტექტურით იმსახურებს მასზე ჩატარდეს ღირსეული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, რაც მის ღირებულებას საგრძნობლად გაზრდის და ამ მშვენიერ ხეობას თავის სიდიადით დაამშვენებს.

ირინე ელიზბარაშვილი

ხელოვნებათმცოდნე,პროფესორი

სქურის ფერისცვალების ეკლესია

დასკვნა

სქურის ფერისცვალების ეკლესია მდინარე ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაღალი მთის მოსწორებულ ბაქანზეა აღმართული. ეკლესიის გრანდიოზული, მონუმენტური ნანგრევები ერთიან, მასიურ მოცულობად იკითხება ტყით დაფარული მაღალი მთების ფონზე.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა სამხრეთი და ჩრდილოეთი მოკლე მინაშენებითა და დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეებით.

დარბაზის გეგმის კომპოზიცია წარმოადგენს განიერ, ვრცელ მოცულობას, რომელიც აღმოსავლეთით ღრმა ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. აფსიდის ცენტრში, საკმაოდ დაბლა სარკმელი იყო გაჭრილი (ამჟამად სარკმლის გარშემო წყობა ამორღვეულია და მხოლოდ ძირია შემორჩენილი). სარკმელი ფლანკირებულია მაღალი, იატაკის დონიდან აღმართული ღრმა, ნახევარწრიული ნიშებით, რომლებიც შეწვერილი კონქით სრულდება. აქაც, იმავე დონეზე თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველს დარბაზის ერთი მესამედი უკავია, დანარჩენი სივრცე ორი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით არის დანაწევრებული. დასავლეთი კედლის კუთხეში ნაოთხალი პილასტრებია მოცემული. გრძივ კედლებზე, სარკმლის კვალი მკაფიოდ მხოლოდ სამხრეთ კედელსა და დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში იკითხება.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს – დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელში. შესასვლელების ფორმა იდენტურია. ეს არის გარანდიოზული, განიერი და მაღალი, გარედან სწორკუთხა მოხაზულობის ღიობი, რომელიც ინტერიერის მხრიდან თაღით სრულდება. დასავლეთსა და სამხრეთ შესასვლელი პორტალით არის შემკული. ღიობს ლილვების ჩარჩოში მოქცეული ორნამენტული არშია მიუყვება. ჩრდილოეთი შესასვლელი სადაა. მისი ღიობი ფლანკირებულია პროფილირებული სადა იმპოსტებით.

ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენების აღმოსავლეთი კედელი დარბაზული სივრცის საკურთხევლის კედელს აცდენილია, ოდნავ შიგნით არის შემოწეული. ორივე კომპარტიმენტი ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. ჩრდილოეთისაში საძელეა მოწყობილი. ამ სათავსოს აფსიდში უფრო შემცირებული, მარტივი ფორმით მეორდება დარბაზული ეკლესიის საკურთხევლის კომპოზიცია – სარკმელი, ფლანკირებული კონქიანი ნიშებით. მოგვიანებით, ამ სათავსს დასავლეთით, გაგრძელებაზე ეკლესიის მოცულობის ბოლომდე კვადრატული მოცულობა მიუშენებიათ, ამჟამად, მხოლოდ გეგმის დონეზეა შემონახული.

სამხრეთის მინაშენი ჩრდილოეთისაზე უფრო მოკლეა. მის აფსიდშიც ცენტრალური სარკმლის ორივე მხარეს გეგმით თითქმის წრის მოხაზულობის ნიშებია მოცემული. ეს მოცულობა ამჟამად ჩახერგილია. ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის წინ, მინაშენის გაგრძელებაზე კარიბჭის კედლების ფრაგმენტებია დაცული. სამხრეთ დასავლეთი კუთხე, კი მძლავრი, გვიანი, უხეში კონტრფორსით არის შემაგრებული.

დასავლეთი კარიბჭიდან მხოლოდ გეგმის დონეზე შემორჩენილი კედლის ფრაგმენტებია დაცული. კარიბჭე მართკუთხა მოხაზულობისაა და მოიცავს ეკლესიის მთელ სიგანეს.

სქურის ეკლესია სამსაფეხურიან, მძლავრ ცოკოლზეა დაფუძნებული. ფასადები ნაგებია დიდი ზომის კარგათ თლილი ქვის კვადრებით. შიგნიდან წყობა შერეულია. გარდა არასწორი მოხაზულობის, სხვადასხვა ზომის პირმოსწორებული ქვებისა, ცალკეულ ადგილებში შირიმია გამოყენებული. ეკლესიის ფასადების ერთადერთი გაფორმება სადა ლილვებიანი სარკმლის საპირეები და ორმაგი პროფილირებული კარნიზია.

სქურის ეკლესია დღემდე გამოკვლეული არ არის. მიჩნეულია, რომ იგი X საუკუნეს მიეკუთვნება. ვფიქრობთ, რომ თავისი მხატვრული სახით, გეგმის კომპოზიციით და დეკორით იგი XIII საუკუნის I ნახევრის ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენს. შემდგომი კვლევის პროცესში, ჩვენს მიერ შემოთავაზებული თარიღი დაზუსტდება და დასაბუთდება.

ეკლესიის ძლიერი, გრანდიოზული კედლები, განსაკუთრებული სიდიდის შესასვლელი ღიობები, ფასადების შესანიშნავი, დიდი ქვებით ამოყვანილი ზედაპირი და თავშეკავებული დეკორი – განსაკუთრებული მონუმენტობისა და მასშტაბურობის შეგრძნებას ბადებს.

სქურის ფერისცვალების ეკლესია დარბაზული ტიპის ეკლესიათა შორის ერთერთი ყველაზე დიდი და მონუმენტურია. კარგი ხარისხის მოწესრიგებული წყობა და ცალკეული არქიტექტურული ფორმების სადა, სწორი მოხაზულობა, ფასადების მოკრძალებული გაფორმება მას განსაკუთრებულ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს.

ეკლესიის დარბაზულ მოცულობაზე, დაზიანებების მიუხედავად, შემორჩენილია ძირითადი მნიშვნელოვანი საკვანძო არქიტექტურული ელემენტი, რაც პროექტის ავტორებს, სრულიად სამართლიანად მისი სრული აღდგენის შესაძლებლობას აძლევს. ადგილზე შესასწავლი და დასადგენი იქნება სარკმლების რაოდენობა (დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე). ასევე შესაძლებელია არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ტაძრის მინაშენების აღდგენა. რაც შეეხება კარიბჭეებს, რომლებიც გეგმის დონეზეა შემორჩენილი მათზე ამ ეტაპზე, სავსებით სამართლიანათ დაგეგმილია კონსერვაციის ჩატარება.

ტერიტორიის გაწმენდა ეკლესიის ირგვლივ, სავარაუდოდ გამოავლენს მნიშვნელოვან ფრაგმენტებს, რაც შემდგომში პროექტის კორექტირების საშუალებას მოგვცემს.

ეკლესიის განსაკუთრებული მხატვრულ-სივრცითი ღირებულებიდან და მძიმე ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი აღდგენა, სასწრაფო და აუცილებელია, ტაძრის რეაბილიტაციით, გადარჩება კიდე ერთი, ქართული ქრისტიანულ ხუროთმოძღვრების უაღრესად მნიშვნელოვანი ნიმუში.

კონსტრუქტორი – ზურა გაჩეჩილაძე

სქურის ფერისცვალების ეკლესია
კონტრუქციული დასკვნა

სქურის ფერისცვალების ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენებითა და ასევე დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეებით.

დარბაზის სიგანე 8 მ-ზე მეტია, ფასადები დიდი ზომის თლილი ქვებით არის ნაშენები, ხოლო ინტერიერში კედლები შერეული წყობით არის ამოყვანილი. გარდა პირმოსწორებული ადგილობრივი ქვისა, შირიმის ქვებიცაა გამოყენებული. კონსტრუქციული ნაწილები თლილი ქვით არის ამოყვანილი. სამხრეთი კედელი გადახრილია, რამაც გამოიწვია გარედან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მძლავრი, უხეში კონტრფორსის მიშენება. კედლის ავარიულმა მდგომარეობამ შეარყია საბჯენი თაღების მდგრადობა და დროთა განმავლობაში იგი გახდა ნგრევის ერთ-ერთი მიზეზი.

ეკლესიის კედლები მკვიდრად არის ნაგები არსად არ აქვს ბზარები საძირკველი არ არის დეფორმირებული, კარგია და გამაგრებას არ საჭიროებს.

ეკლესიას ოთხივე მხრიდან გასდებს მძლავერი სამსახფეხურიანი ცოკოლი.

აზომვის დროს საჭიროა დადგინდეს კედლების ვერტიკალობა. საჭირო იქნება კარნიზის დონეზე ლითონის მჭიმების დაყენება, რ/ბ სარტყელის მოწყობა. ვინაიდან, სამხრეთი კედელი გადახრილია და როგორც ავღნიშნეთ, მისი დაკავება უნდა მოხდეს მჭიმებით, სიმძიმის ასარიდებლად, აუცილებლად მიგვაჩნია თაღებისა და კამარის გადაყვანა შირიმის ქვებით, რომელზეც უნდა მოეწყოს რ/ბ დამჭერი ფილა.

გადახურვა მოხდეს ხის ნივნივებითა და თუნუქით. ეკლესიის ირგვლივ უნდა მოეწყოს ქვის სარინელი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სქურის ეკლესიაზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების რეკომენდაცია

ეკლესია დარბაზული ტიპისაა სამხრეთი და ჩრდილოეთი მოკლე მინაშენებითა და დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეებით.

სქურის ეკლესია სამსაფეხურიან, მძლავრ ცოკოლზეა დაფუძნებული. ფასადები ნაგებია დიდი ზომის კარგად თლილი ქვის კვადრებით. თუმცა ეკლესია ძლიერ დაზიანებულია, კედლებიდან ჩამოცვენილი ქვები ფასადების გასწვრივ ყრია. ჩემი აზრით, ჩასატარებელია შემდეგი სახის გაწმენდითი–არქეოლოგიური სამუშაოები: ზედაპირული ნაყარი მიწისა და საფასადე ქვებისაგან გასაწმენდია ეკლესიის მთელი პერიმეტრი; შედარებით მეტი მოცულობის მიწის სამუშაოებია ჩასატარებელი ჩრდილოეთ და სამხრეთ მინაშენების ინტერიერში იატაკის გამოსაჩენად.

იმ შემთხვევაში, თუ საძირკვლის სიმყარის გამოსავლენად გაკეთდება გეოლოგიური შურფი, აუცილებელია არქეოლოგის ზედამხედველობა, რათა დადგინდეს, არის თუ არა ტაძრის გარშემო კულტურული ფენა, რომელიც შესაძლოა, შეიცავდეს სამარხებს.

ეკლესიის ირგვლივ ტერიტორიის გაწმენდა, სავარაუდოდ გამოავლენს მნიშვნელოვან დეტალებს, რაც შექმნის პროექტის კორექტირების შესაძლებლობას.

არქეოლოგი: ლალი ახალაია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სქურის ეკლესიის

განთავსების ადგილის წინასწარი საინჟინრო გეოლოგიური

შეფასება

სქურის ეკლესია მდებარეობს კურორტ სქურის ტერიტორიაზე მდ. ჭანისწყლის ხეობის მარცხენა ფერდობის ქვედა ნაწილში, ეროზიულ საფეხურზე, რომელიც გეოლოგიურად აგებულია შუა იურული ასაკის (ბაიოსის იარუსი) პორფირიტებით, ტუფებით, ტუფობრექჩიებით და ტუფოქვიშაქვებით. სავარაუდოდ ეკლესიის განთავსების ადგილზე ძირითადი ქანები გადაფარულია ალუვიურ-კოლუვიური ნალექებით. აღნიშნული გრუნტის სავარაუდო სიმძლავრე 1 – 3 მეტრის ფარგლებშია.

თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესები უშუალოდ ეკლესიის განთავსების ადგილზე არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ეკლესიას ის ნახევრად დანგრეულია, კედლის და სახურავის წყობა ჩამოშლილია.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საძირკველის ფიზიკური მდგომარეობის შეფასება. ნაგებობის საგები გრუნტის სახეობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენა.

ამ და სხვა საკითხებზე პასუხი უნდა გასცეს დეტალურმა საინჟინრო გეოლოგიურმა კვლევამ.

ინჟინერ გეოლოგები: გიორგი კუნჭულია

ზაურ კვარაცხელია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სქურის ეკლესიის განთავსების ადგილის ჰიდროლოგიური რეკომენდაცია

სქურის ეკლესია მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, კურორტ სქურის ტერიტორიაზე, მდ. ჭანისწყლისა და წისქვილას აუზში.

ეკლესიისა და მის მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერებისას ჩანს, რომ აღნიშნულ ტერიტორიას რაიმე ჰიდროლოგიური ზემოქმედების კვალი არ ეტყობა.

ჰიდროლოგი:

მურმან ძაძამია

სქურის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (კორექტირების) მომსახურების შესყიდვაზე

საორიენტაციო გაფასება

რიგ №	სამუსაოების სახე	თანხა
1	2	3
1	განმარტებითი ბარათი	50
2	ტოპოგრაფიული გეგმა	700
3	ფოტომასალა	100
4	არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვით	700
5	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;	500
6	რეაბილიტაცია-რესტავრაციის კორექტირებული პროექტი:	2300
8	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;	195.50
	ჯამი	4545.5
10%	ზედნადები ხარჯები 10%	454.5
	ჯამი	**5000.0**

ს.ს."სამშენებლო კომპანია"ივერთმშენი"-ს" გენერალური დირექტორი:

ე. ჯანჯღავა

სქურის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის
რეაბილიტაციის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის (კორექტირების)
მომსახურების შესყიდვაზე

№	სამუშაოების დასახელება	წელი				
		ეტაპი	I			
		თანხა	5000			
		თვე	30.05.14-30.06.14			
1	2	5				
1	განმარტებითი ბარათი					
2	ტოპოგრაფიული გეგმა					
3	ტოპოგრაფიული გეგმა					
	ფოტომასალა					
4	არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დაზუსტება და სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვით					
5	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;					
6	რეაბილიტაცია-რესტავრაციის კორექტირებული პროექტი:					
7	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა					
8	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა					

სს "სამშენებლო კომპანია " იერთმშენი"ს გენერალური დირექტორი
ედიშერ ჯანჯულია